საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

სამშაბათი, სექტემბრის 6
1921 წ.
№ 14
ფასი 500 მანეთი

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 10,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტრიბუნიდან

11.

### ერის გაპიროვნება, როგორც შეთანხმების საფუძველი.

ქართველი ერი მოსპობილი და ჩაგრული ერების ტიპიური მაგალითია. იმპერიალიზმის დამახასიათებელია, როგორც ეკონომიური, ისე ეროვნული ჩაგვრა. ეკონომიურ სფეროში ეს იხატება მუშების და უბრალო გაფცქვნაში, არამედ ჩამორჩენილ ქვეყნის ისე დამონავებაში, რომ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული საერთო ეკონომიური კულტურა ვერ განვითარდება. იმპერიალიზმი ერს და უცხო ქვეყანას მშობლიურ მრეწველობას, თავის საქონლის ბაზრად ხდის, ადგილობრივად ხელს უშლის ყოველ წარმოების განვითარებას. ასე იქცეოდა რუსეთი საქართველოში, სწორედ ისე, როგორც ინგლისი ინდოეთში, დღეს იაპონია კორეაში. ეროვნული კულტურის მხრივ იმპერიალიზმი ასუსტებს დაჩაგრული ერის ყოველ დამახასიათებელ თვისებებს, ამეფებს თავის ჯარს, თავის ენას, თავის მმართველობას, სდევნის ყოველ ადგილობრივს, აბატონებს თავისას. რუსეთი ეროვნულ დარგშიაც აწარმოებდა საქართველოში იმპერიალისტურ პოლიტიკას, სწორედ ისე, როგორც იგივე ინგლისი ინდოეთში, იგივე იაპონია დღეს კორეაში *) ეს იყო ქართველი ხალხის აქტიური მდგომარეობა რევოლიუციური ხასიათისა, საქართველო რევოლიუციის ბუნებრივი და უხვი მასალაა თანამედროვე რევოლიუციისა.

მართლაც შემთხვევითი პირობებს უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ საქართველოში მენშევიკები გაბატონდნენ, რომლებმაც რევოლიუციასთან ყოველი კავშირი გაწყვიტეს. მაგრამ ეს მოხდა იმიტომაც, რომ მენშევიზმი მოვიდა საქართველოში არა როგორც რეაქციური ძალა, არამედ რევოლიუციის სახელით. მენშევიზმი უმთავრესად გამოაშკარავა და გააკოტრა ბატონობამ, როცა ჩხიკვიშვილიადა და რამიშვილიადა პარტიას დაეპატრონა, გახრწნა იგი და რევოლიუციური შემოქმედება დაუმორჩილა ბურჟუაზიის ინტერესებს. მენშევიკებმა პეტრე სტრუვეს სათვალეები გაიკეთეს და ჟორდანიას პირით გამოაცხადეს: —საქართველო აღსდგება, როგორც კაპიტალისტური ქვეყანა, ან ვერ აღსდგება სრულიად, მაგრამ რაკი იმპერიალიზმის ხანაში დაჩაგრული ერის ეროვნული ეკონომიკის რენესანსი პირდაპირი ოცნებაა მით უმეტეს, როცა ამ პერიოდს მსოფლიოს რევოლიუციის ცეცხლი ახვევია, ამიტომ საჭირო იყო უეჭველად ჩვენი სათვალეების გაკეთება, რომ საქართველოს აღდგენა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური კულტურით, რევოლიუციასთან კავშირით: და მენშევიზმი გაიხრწნა იმიტომაც, რომ ის გაირიყა თავისი რეაქციური იდეებით, ჩამორჩა რეალურ მიმდინარეობას, გაკოტრდა როგორც ისტორიული კატეგორია.

შეუძლებელია მენშევიზმის ცოდვები ქართველ ხალხს მიაწეროთ, ან ვსთქვათ, რომ საქართველო ისევე რეაქციურია, როგორც მენშევიზმი. მხოლოდ ჩხიკვიშვილის და რამიშვილის თავის ქალას ეგონა, რომ საქართველო მენშევიზმია და მენშევიზმი საქართველო. მენშევიზმი არის მხოლოდ ისტორიული კატეგორია, ისტორიული მოვლენა და მას, როგორც სენს ყველა იხდის ქართველ ხალხთან ერთად. ეს სენი რუსეთმა უკვე მოიხადა, მენშევიზმის კლასიკურ ქვეყანაში—გერმანიაში მენშევიზმის ლიკვიდაცია ისევე მოხდა, როგორც ყველგან, თუმცა ყველა ის ერები, რომელთაც მენშევიზმი განვლეს ამ ჟამად რევოლიუციის დიდი ფაქტორია. მენშევიზმი არ ეგუებოდა საქართველოს არც საერთაშორისო მდგომარეობას, არც მის ეროვნულ ხასიათს, არც კლასობრივ პირობებს. საქართველო ტიპიური რევოლიუციური მხარეა მენშევიზმი კი—რეაქციური, ეს ფორმა უნდა მოსცილებოდა სამუდამოდ ჩვენს სამშობლოს და მართლაც, ვინც მოკლებული არ არის უნარს განსჭვრეტის დაგროვებული ისტორიული მასალა, ის ჩვენთან ერთად გაიმეორებს, რომ მენშევიზმი საქართველოში მოკვდებოდა ბუნებრივის სიკვდილით, მისი არსებობა წარმოადგენდა სალიკვიდაციოდ განმზადებულ არსების მდგომარეობას. ბოლშევიზმმა მხოლოდ მოსპო იგი მხოლოდ ძალით.

მენშევიზმის სრული ლიკვიდაცია დიდი კულტურული და პროგრესიული მოვლენაა. მაგრამ, უნდა გამოვტყდეთ, მენშევიზმის სრული ლიკვიდაციას ხელს უშლის ბოლშევიკების პოლიტიკის ზოგიერთი მხარე და თუმცა მენშევიზმი ჩაკლულია, როგორც ორგანიზაცია, მაგრამ ჩვენს მასაში მას დღეს მეტი გასავალი აქვს, ვიდრე მენშევიზმს ქონდა ბოლშევიკების მოსვლამდე. რასაკვირველია, უნდა [illegible]: რა გვარი პოლიტიკაც არ უნდა აწარმოონ ბოლშევიკებმა მენშევიკების რესტავრაცია საქართველოში შეუძლებელია. მენშევიზმი იმდენად გაიხრწნა, როგორც პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ძალა, რომ ქართველი ხალხის გულში იგი ვერასოდეს იპოვის პაწაწკინტელა ადგილსაც. მაგრამ საჭიროა მენშევიზმის სწრაფი ლიკვიდაცია. რა არის ამის უმთავრესი პირობა? ამის პირობაა ის საერთო ინტერესი, რაც ყველა მემარცხენე ფრთას შეავთანხმებს ერთმანეთთან და შეავარიგებს ბოლშევიზმთან. ეს არის სადი, კატეგორიული რევოლიუციური ეროვნული პოლიტიკის წარმოება.

დღეს მენშევიზმი თუ სადმე სცოცხლობს ვისიმე პუპრუტანაში, სცოცხლობს იმიტომ კი არა, რომ მას საქართველოს წინაშე დღეს რაიმე ღვაწლი მიუძღვის, „ქვალი"-ს იდეებით, ან მუშათა მოძრაობის იდეოლოგიით კი არ ატიებენ დღეს ისინი, არამედ მათ აცოცხლებს ის ეროვნული სამოსელი, რომელიც მათ დღეს სრულიად დაუმსახურებლად წამოისხეს. მასსას გონია, რომ მენშევიზმი ეროვნული ძალაა, ბოლშევიზმი უცხო ძალა; რა ძალაც არ უნდა იყოს დღეს ბოლშევიზმი, ის უეჭველად ყველასათვის უნდა იყოს აშკარა, რომ ყოველ შემთხვევაში მენშევიზმი არ არის ეროვნული მოვლენა. ბოლშევიზმის ცოდვები მენშევიზმს ვერ აცხონებს, სწორედ ისე, როგორც შეუძლებელია ბოლშევიზმის სიძულვილით მენშევიზმის შეყვარება. მხოლოდ პოლიტიკურ ბალღებს ჰგონიათ, რომ თუ ბოლშევიკი ავია, კარგი უნდა იყოს მენშევიკი; ამ მსჯელობას ჩვენ ბოლო უნდა მოუღოთ. მაგრამ რუსები იტყვიან—нет дыма без огня—არის ისეთი მომენტები, რომლებიც აცოცხლებენ მენშევიზმს, ჰქვებავენ გულუბრყვილოებს და ამათ ჩვენი მსჯელობა ნაკლებად ესმით, ვიდრე ეს შუპფერის კულტურულ ადამიანს.

აი, სრული ეროვნული პოლიტიკის წარმოება—აი სამარადისო ლახტი მენშევიკური პარტიისა. გავაპიროვნოთ საქართველო, ავამაღლოთ მისი პრესტიჟი, საქართველოს მთავრობის ხმა გავხადოთ ქართველ ხალხის ხმად—თქვენ ამით მოსპობთ ყოველივე ნიადაგს კონტრ-რევოლიუციისას და მენშევიზმისას. ქართველ ხალხს, როგორც დაჩაგრულ ხალხს, სწყურიან თავისი მთავრობა, მთავრობა მშობლიური, ეროვნული, ქართული და ჩვენსავე ხალხს ქართული სუსტი მთავრობა ურჩევნია ძლიერს სხვის მთავრობას. უნდა ყველამ ღრმად შევიგნოთ: საქართველოს რევოლიუციონურ მთავრობას ქართველი ხალხი წაჰყვება ყოველ საქმეში, ყველგან განვითარდება მთავრობასთან მაგრამ ყველა განიყოფება, გაირიდება, გაასპირდება თუ საქართველოს სამრეკლოს საზარები და გუგუნები ჩამოაშორეთ.

ბევრი ამტკიცებს, სრული ნაციონალობა რევოლიუციურ ძალთა დაქსაქსვაა. ეს ისტორიული ტყუილია! სად გაგონილა მდგომარეობით რევოლიუციურმა ერმა რევოლიუციის დამქსაქსველი როლი ითამაშოს და ისიც მაშინ, როცა რევოლიუცია აგრძნობინებს ჩვენს ერს, რომ ის მას აძლევს პატივს, ნდობას, პიროვნებას. როდის მომხდარა, რომ საქართველოს ეღალატნოს რომელიმე ძალისათვის, პირი გაეტეხოს და ზურგში მახვილი ჩაეცეს? მიიღეთ ჩვენგან ეროვნული სიტყვა, ეროვნული ფიცი, ეროვნული ნდობა და ჩვენ საქართველოსთან ერთად იქ ვიქნებით, სადაც რევოლიუციის სასიცოცხლო ინტერესები გვიკარნახებენ.

ჩვენთვის საქართველოშიაც მომხდარი ძირითადი ცვლილების არის მხოლოდ და უმთავრესად ორიენტაციის საკითხი. ბოლშევიკებმა საკითხი სავსებით ასევე უნდა დააყენონ. მენშევიზმი იცქირებოდა რეაქციისაკენ, ბოლშევიზმი იცქირება რევოლიუციისაკენ, მაგრამ საქართველო, როგორც პიროვნება, როგორც არსება, როგორც ორგანიზმი უნდა იყოს, მისი აპარატი უნდა ამოძრავდეს მხოლოდ ახალი ორიენტაციის მიხედვით. მიმართულება იცვლება, რჩება ერი, ერი იცვლის გზას, მაგრამ კი არ იშლება, კი არ ირღვევა. ასე გვესმის ჩვენ საკითხი.

საქართველო სავსებით ჩამოშორდა რეაქციას, მაგრამ საქართველო საქართველოს არ ჩამოშორებია. საქართველო იმოქმედებს, როგორც რევოლიუციური ძალა, მაგრამ ის სრულიად ვერ იმოქმედებს როგორც არა საქართველო. თუ გსურთ რეაქციას დაუბრუნდეს საქართველო—შებღალეთ მისი პიროვნება, დაივიწყეთ მისი სულიერი მისწრაფება, მისი ისტორია, მისი კულტურა; თუ გსურთ საქართველომ რევოლიუციას მისცეს მაქსიმუმი იმისა, რისი მიცემა ვისმეს მოუვა გონებაში—საქართველო მისცემს უეჭველად. საქართველო არ არის ხარბი, მან იცის ეროვნული თავისუფლების ღირებულება და არასოდეს არ შედრკება იმ მსხვერპლის წინაშე, რომელიც საჭიროა რევოლიუციის გამარჯვებისათვის, ერის თავისუფლებისათვის. საქართველო არ დაერიდება ამ მსხვერპლს, იქნება იგი დიდი ფიზიკური თუ მეტად მნიშვნელოვანი მატერიალური.

თედო ღლონტი.

*) დაწვრილებით ამის შესახებ ჩვენს ნაშრომში „რუსული იმპერიალიზმი საქართველოში", იხ. „მატ. და ფიქ."

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლია აღძრას ყრილობისათვის სხვა და სხვა საკითხი 20 ენკენისთვემდე. საყრილობო საკითხს ამტკიცებს დრ. მთავარი კომიტეტი.

## მორიგი გაწმენდა

როგორც მკითხველმა უკვე იცის ჩვენს პრესაში მთელი რიგი წერილები იყო მოთავსებული ტფილისის გაწმენდის შესახებ. მართლაც საჭირო იქნა ცნობილი ტფილისის გაწმენდა და რევკომისაგან სათანადო კანონი გამოქვეყნდა. რამდენადაც ვიცით გაწმენდა უკვე დაწყებულია და პირველი პარტია გაგზავნილია ბაქო, ერევან, ბათომისაკენ.

აქ გვინდა ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება. ტფილისის გაწმენდის ცდა იყო ძველადაც, მაგრამ სათანადო შედეგი ვერ მივიღეთ, რადგან მოხერხებულმა ელემენტებმა თავი შეაფარა სხვა და სხვა დაწესებულებებს თუ ფაქტიურად არა ფორმალურად მაინც და ამით უფლება მოიპოვა ქალაქში ცხოვრების.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღესაც ბევრია პატარა კაცუნები ამა თუ იმ კანცელარიის გამგე ან მისი თანაშემწე, რომელიც ტფილისის გაწმენდას თავის „ჯიბის სასარგებლოდ გამოიყენებს და თითოეულ მოწმობაში ვინც „სპეკულიანტს" საგრძნობელ თანხას გამოართმევს. ცხადია ეს არ იცის საქ. რევკომმა, რასაკვირველია ამის გაგება მეტად ძნელია, მაგრამ ისეთი პირობებია შექმნილი, რომ ასეთი მოვლენის არსებობა კი მეტად ადვილია.

ამას დაუმატეთ დღევანდელ დაწესებულებათა შტატი, რომელიც ჯერ კიდევ თებერვალში შეიქმნა ხელოვნურად, რადგან წინანდელი მოსამსახურენი გადახვეწილი იყო ტფილისიდან და მათი დაბრუნების შემდეგ კი დამხვდურნი ისევ დარჩენ სამსახურში. საშინელი ატმოსფერაა ამ მხრივ შექმნილი. მიხვალთ რომელიმე დაწესებულებაში, მიგაქვთ ქართულად დაწერილი განცხადება, აბრუნებენ წაღმა-უკუღმა და იძულებული ხარ, რომ ან რუსულად ახსნა საქმის ვითარება ან და უკან გამობრუნდეთ და რუსული განცხადება წარადგინოთ მეორეჯერ.

ერთი სიტყვით ჩვენი დაწესებულებანი სავსეა სახელმწიფო ენის უცოდინარი ელემენტებით, რომელნიც სულ სხვა ელფერს აძლევს მთელ სახელმწიფოებრივ მუშაობასა და ცხოვრებას, ვიდრე ეს შეფერის სუვერენულ სახელმწიფოს სადაც უნდა სჩანდეს მკვიდრი ხალხის ფიზიონომია, მისი სულისკვეთება, მაჯის-ცემა.

საჭიროა არა მარტო ქალაქის გაწმენდა, არამედ კიდევ უფრო აუცილებელი საჭიროა დაწესებულებათა გენერალური გაწმენდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მკვიდრი მცხოვრებნი სახელმწიფოს გარეშის მდგომარეობაში არ იმყოფებოდნენ და შეეძლოთ თავისი მშობლიური მეტყველებით წარსდგომა ამა თუ იმ დარგში.

დღეს ზოგი დაწესებულების სრულიად გაუქმებაც არის შესაძლებელი და მისი ფუნქციების განაწილება სხვა დაწესებულებათა შორის.

მუშათა მაგიდას და სახელმწიფოს არ შეუძლია მთელი ტფილისის უზრუნველყოფა სურსათით, რომელიც დღეს სამსახურში „ირიცხება".

საჭიროა მინიმუმი რიცხვი იყოს მოსამსახურეთა, რომელმაც იცოდეს თავისი მოვალეობა და პირნათლად შეეძლოს მისი შესრულება. ამით ერთი მხრით დიდათ გაჯანსაღდება სახელმწიფოს აპარატი და მეორე მხრით შესაძლებელი გახდება მათი უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით.

დაწესებულებათა გაწმენდის მორიგი გაწმენდა უნდა იყოს. უკვე შეუდგნენ შტატების შემოკლებას და იმედია ყურადღებას მიაქცევენ ამ გარემოებას. უნდა მოშორდეს დაწესებულებებს სხვა და სხვა ჯურის პარაზიტები, გამოუსადეგარი და საეჭვო ელემენტები.

სერ. ამაღლობელი.

## კოჯორი-კოროღლის ციხე-კოჯენის მონასტერი

(შევარდენთა გაფრენი).

2.

დავსტოვეთ კოჯორში მზარეულთა გუნდი და დავეშვით ხევისაკენ, საიდანაც იმდენივე აღმართი გვქონდა ასასვლელი. წავიყვანეთ აგრეთვე ბავშვები, რომელნიც დიდი ხალისით წამოგვყვნენ. ყველას პირველად უნდა მისვლა, მაგრამ ძმა მამამთავრიშვილმა გაგვისწრო. ავედით ქოროღლისთან. გვინდა აუცილებლად ასვლა ზედ ქოროღლის კედლებზე. ჯერ წავიდა ასასვლელით მცირეოდენ გუნდით გიორგი, რომელსაც თანდათანობით ყველანი მივყევით. კლდეებზე ვიდექით ერთი მეორისგან დაცილებით უფროსები და ამგვარათ ბავშვებიც ავიყვანეთ, ავედით სულ უმაღლეს კედელზე ვანომ ჯოხზე ჩამოაცვა თავის შევარდნული წითელზოლებიანი პერანგი და კარგა ხ-ნს ფრიალებდა ის დროშა ქოროღლის კედელზე. იქვე შეგროვდა ჩვენი მომღერალთა გუნდი. ლამაზი სურათი იყო. ჰაერში დაკიდებული ქოროღლის ციხის სიმაღლე და ზედ შეუშინებელი მარდი შევარდენთ კრებული. ახლა სანახაობა. ირგვლივ ჩრდილოეთით ტფილისი თავის მიდამოებით და შორს მთები, აღმოსავლეთით ყარაიას მიდამოები აზერბეიჯანის მთებით, სამხრეთით ბორჩალოს მიდამოები სომხეთის მთებით, დასავლეთით მანგლისის მიდამოები. რუქაზე, რომელიც თან გვაქვს ვიკვლევთ დაწვრილებით ბორჩალოს მიდამოებს, სადაც ბრძოლები იყო ჯერ სომხებთან 1918 წელში, წელს კი რუსებთან. აი ხრამის ხიდის რაიონი, სადაც არა ერთხელ ებრძოდა ქართველთა მამაცი ლაშქარი მუხანათურ მტერს. თვით ქოროღლის მიდამოები თხრილებშია სულ. იქვე ეპოვნა ჩვენს ერთ ძმა ვანო კუკავაძეს თავის ქალა, რომელიც ვინ იცის ვის ეკუთვნის. ეს თავის ქალა ათასგვარ ოცნებაში და მრავალ მოგონებათა, წარსულ მწარე მოგონებათა

წყვდიადისაკენ მიგვითითებს და მის შეხედვით სასოწარკვეთილებას იწვევს ყოველი ადამიანი, რომელსაც ვერ აუღია ბოლო ჩვენი დუხჭირ ცხოვრებისათვის და ადამიანთა სისხლის დაქცევაში და ყოველივეს განადგურებაში ხედავს კაცობრიობის კარგ მომავალს, მაშინ როდესაც ჩვენი სამშობლოს, ლამაზ საქართველოს მშვენიერი ბუნება მოგვიწოდებს სილამისაკენ, ძმობა-ერთობისაკენ, კაცთმოყვარეობისაკენ და სიყვარულისაკენ.

შევარდენი კრებული კი მუდამ იყო, არის და იქნება მატარებელი იმ დიად ლოზუნგებისა, რომელიც მის დროშას აწერია; „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“, „სამშობლოს და მშრომელი ხალხის სიყვარული,“ „ქართველ ერის ძლიერება“ და მრავალი სხვა—აი ის დევიზები, რომელთაც თაყვანს სცემს საქართველოს შევარდენი.

და ეს თავის ქალა, რომელიც ადამიანის ყოფა-ცხოვრების ჩაკვირვებას გავალებს, რომელიც გადაგწყვეტს ადამიანის სიცოცხლის გარჩევაში, ჩვენ ეს თავის ქალა გადავწყვიტეთ წამოგვეღო ტფილისში შევარდენთა კავშირის სამკურნალო განყოფილებისათვის.

ქოროღლი კი მედიდურად დასცქერის ყოველივეს ირგვლივ და ის იდუმალობა, რომლითაც მოცულია მისი კედლები, წარსულს, შორეულ წარსულს, საქართველოს ისტორიულ ცხოვრებას გისახიერებს, როდესაც ისე, როგორც აწმყოში მრავალ მტერთა საჩიჩქნი იყო ჩვენი სამშობლოს მიდამოები. ქოროღლის ირგვლივ შექმნილი იდუმალობა ბევრს ჩვენგანში გრძნობათა გადახალისებას იწვევს. იბადება, იქმნება ახალი აზრები, გასცქერი იმედით ჩვენი მშრომელი ხალხის კარგ მომავალს, იშლება დიადი პერსპექტივები და ყოველივე ამით გატაცებული გავიწყდება ირგვლივ კაცთა შორის შექმნილი უნდობლობა, დაკნინება, გადაგვარება.

ხარობს ქოროღლი შევარდენთა სტუმრობით. ციხის ირგვლივ კედლების ძირს უფსკრულებიც ადარაა საშიში. სიმხნევისაკენ მოგვიწოდებს ქოროღლის ციხე და ჩვენც ვსტკბებით ამ იდუმალობით, ვსტკბებით და ვმაგრდებით მზის მშვენიერ სხივებით. აღმოსავლეთით ქვემოთ კუმისის ტბა და დასავლეთით ხევში ქობენის მონასტრის სანახაობა თავისკენ გვეპატიჟებიან. მაგრამ, რადგან კუმისის ტბას უკვე გაუწევია შევარდნებისთვის მასპინძლობა, ამისათვის ქოროღლის კედლებზევე გადავწყვიტეთ წასვლა ქობენის მონასტერში. დავიწყეთ ჩამოსვლა ქოროღლის ციხიდან. საშიშ ადგილებზე, საიდანაც შესაძლებელი იყო მოწყდომა კლდიდან, დადგნენ წურთნელები და ფრთხილად გადაჰყავდით და ჩაჰყავდათ ბავშვები და დები. ჩვენი ჩამოსვლა და მზესაც დრუბელი მოეფარა ნაწილობრივად. საგანგებოდ დაიჩრდილა ქოროღლის ციხე. ჩვენც ამას რასაკვირველია მივაქციეთ ყურადღება. ეს იყო სრულიად შემთხვევითი მოვლენა. „დანაღვლიანდა ქოროღლი ჩვენი ჩამოსვლითა“—ამბობდნენ ძმები, როდესაც ციხის ძირში ჩამოვედით.

ზემოდან სამხრეთით მოსჩანდა ქობენის მონასტრისაკენ მიმავალი გზა, რომელზეც უნდა ერთი ვერსის მანძილზე ჩავსულიყავით ტყით კლდეებში. წამოსვლის სურვილი განაცხადა 23 შევარდენმა, დანარჩენები ისევ კოჯორისაკენ წავიდნენ. ლამაზია ქოროღლის ციხის მიდამო ბიდან კოჯორი თავის აგარაკებით ამწვანებული, აფერადებული, შორიდან ყოველივე ლამაზათ გამოიყურება, თუმცა უკანასკნელ ომის დროს მომეტებული ნაწილათ გაპარტახებულია კოჯორის სიმდიდრე, მისი მოწყობილობა. შევსცქეროდით შტაბის შენობებს და საერთოთ ლამაზათ მორთულ კოჯორის მთას, რომელიც მოფენილია მრავალ ბაღებით და სახლებით.

ხ. ახლანიშვილი.

# ახალი ამბები

— გემი ბათომის ნავთსადგურში. მოვიდა იტალიის გემი „კარნერო“, რომელმაც მოიტანა 45 ტონი სხვა და სხვა საქონელი. გემმა „ტანნამ“ მოიტანა 12,700 ფუთი საქონელი.

# არ ვსტირი

თუმცა-ღა წლობით ნანატრ დღეებში
შავ-ბედმა წილად ჰმუნვა მარგუნა,
დიდი ხნის ნაკვნეს გულის სიმებში
ნაღველის წვენი შემიშხეფუნა,
მაგრამ ამისთვის, არ ვსტირი, არა!
ვერ გამტეხს ბედი, ავი, ტიალი!
ვიწრო ფარგლები ჩემთვის არ კმარა.
შორს მიმაქანებს სოფლის ტრიალი.
მე კვლავ ხვალინდელ ტკბილ მოლოდინში
შეუერთდები ოცნებას ტკბილსა.
ხან დღეებს ჩავკლავ შხამიან ლხინში
და მით მოვილხენ სულს ანატირსა,
მე მსურს ვიმღერო სიმღერა ტკბილი,
ჩაგრულთ საამო სიმღერა ცისა,
როს ჩემს წინაშე არის გაშლილი,
შრომის სამეფო სამყარო მზისა.
მუდამ ვებრძოდი მუხთალ წერასა,
და დღესაც ბრძოლით მსურს ვისულდგმულო,
გული მივანდო სიმთა ჟღერასა
და ბაგე ჩემი ავაბულბულო.
მაშ, რას დამჩხავი, ბედო ტიალო!
ხედავ? არ ვსტირი, არ ვსტირი არა!
შორს გამაქროლე, სოფლის ტრიალო,
ვიწრო ფარგლები ჩემთვის არ კმარა.

დარია ახვლედიანი.

— **პოლიტიკური ცვლილებები ბათომში.** ღარიბთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის ავტორიტეტი იზრდება. აჭარაში ბეგების საწინააღმდეგო განწყობილებაა. ისეთი ატმოსფერა შეიქნა, რომ მოელოდნენ რევოლუციონურ გამოსვლას გლეხების მიერ. ღარიბთა დამხმარე კომიტეტმა მოიწვია მეჯლისისა და კომიტეტის შეერთებული სხდომა, რომელზედაც მიიღეს შემდეგი დადგენილება: 1. ავტონომიური აჭარის უმაღლეს ორგანოდ ითვლება აჭარის რევკომი, რომელიც ალჭურვილია ნდობით მეჯლისისა, ღარიბთა დამხმარე კომიტეტის და ბათომის პროლეტარიატის მიერ, 2. არჩევნებში ბეგებს არ შეუძლიათ არც აქტიური და არც პასიური მონაწილეობის მიღება, 3. უნდა მოხდეს ხელ-ახალი არჩევნები რაიონისა დ სოფლის რევკომების, რომელნიც ცენტრალ. რევკომთან ერთად უხელმძღვანელებს მუშათა და გლეხთა დეპუტატების არჩევაში, 4. მთელ არჩევნებს ხელმძღვანელობს აჭარის ახალი რევკომი.

— **მუშათა ცენტრალურ კომიტეტის თეატრი.** მუშათა ცენტრალური კომიტეტი ახლო მომავალში ხსნის „სატირ აგიტის“ ტიპის თეატრს.

— **რკინის-გზის კოოპერატივების შექმნა.** რკინის გზებზე მოსამსახურეთათვის მთელ ამიერკავკასიაში იხსნება კოოპერატივები.

## შეცდომის გასწორება.

კვირის ნომერში „ტრიბუნიდან“-ში კაბეს მაგიერ უნდა იყოს ბაბეფი.

# უკანასკნელი ცნობა

**საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე.**

(საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილებიდან)

ოსმალეთის დიდი ნაციონალურ ყრილობის წარმომადგენელი საქართველოში, იმ დიდი ომის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთის ფრონტზედ, საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს აცნობებს შემდეგს: ბერძნების შემოტევამ აღმოსავლეთის ფრონტზე ცხარე ხასიათი მიიღო. დიდი ბრძოლა საკირთან, რომელიც 26 აგვისტოს დაიწყო, გრძელდება სასტიკი შეუპოვრობით. გამარჯვება ოსმალეთის მხარეზეა. საბერძნეთის ჯარი, რომელიც სასტიკად დამარცხდა ჩვენის შეუპოვარი თავდაცვით უკანასკნელ ენერგიას იკარებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ოსმალეთის ჯარი თავისი შეუდარებელი სიგმირით სასტიკ წინააღმდეგობას უწევს მტერს. ბერძნები, მიუხედავად მათი დიდი მსხვერპლისა, რომელსაც ისინი სწევენ ანტანტის იმპერიალისტებისათვის, ყველგან დამარცხებულია და განდევნილი. ბერძნების შეტევამ, რომელიც დაიწყო 29 აგვისტოს, ბეილიკ-კეიპენის რაიონში ჩვენი ხაზის მოახლოვებისას დაკარგა ყოველგვარი აქტივობა. მტერი ბორც-დაგის აღმოსავლეთით ცდილობდა ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთით შემოვლას, მაგრამ ვერ მოახერხა. მტრის რაზმები რომელიც ხსენებულ რაიონში გამოჩნდენ, მოხვდენ სროლის ქვეშ და სრულიად განადგურდენ. ჩვენების შეუპოვარმა წინააღმდეგობამ, რომელიც ამიერიდან დაუვიწყარი იქნება, არ მისცა მტერს საშუალება მოევლოთ დახოცილ და დაჭრილებისათვის, რომლებიც რამოდენიმე მანძილს ფარავდა. საკირის ომი, რომელიც თავისი ხასიათით ყველა ომებზე უფრო სისხლიანი პერიოდია ჩვენი სახელოვნ თავდაცვაში დარდანელთან შეიძლება შევადაროთ გალიპოლის ომებს და სახელი კი ჩვენი გმირებისა თანაბრად შეიძლება დავაყენოთ გალიპოლის გმირებთან. არასოდეს ანატოლიის ომებში ბერძნებს არ გამოუჩენიათ ისეთი შეუპოვრობა, არასოდეს არმიას არ უნახავს ასეთი მსხვერპლი, როგორც საბერძნეთის ჯარს ამ უკანასკნელ ომში. საბერძნეთის ხალხმა თავის მეფის შერყეულ ტახტისათვის მიიტანა ახალი და მძიმე მსხვერპლი.

# უცხოეთი

**ისპანია.**

ისპანიის ახალ კაბინეთში შემდეგი შემადგენლობა შევიდა: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე—მაური, გარეშე საქმეთა მინისტრი—გონზალეც გონტორია (დამოუკიდებელი), ფინანსთა მინისტრი—კამბო (რეგიონალისტი) სამხედრო მინისტრი—ლა-სიერვა, საზღვაო საქმეთა მინისტრი—კარტინა (რომანონესის პარტიის წევრი), საზოგადო შრომის მინისტრი—მესტარე (სიეროვის მომხრე), სახალხო განათლების მინისტრი—სილიო (მაურის პარტიის წევრი), შინაგან საქმეთა მინისტრი—კუელო დე პორტუგალი (დამოუკიდებელი), შრომის მინისტრი—მატოდა (კონსერვატორი), იუსტიციის მინისტრი—ფრანცისკო როდრიგეს, პრესის ასოციაციის თავმჯდომარე (დემოკრატი).

**უმაღლესი საბჭო დამშეულთა შესახებ.**

13 აგვისტოს უმაღლესი საბჭო კვლავ დაუბრუნდა რუსეთის დამშეულთა დასახმარებელ ორგანიზაციის შექმნის საკითხს. საერთაშორისო კომიტეტი ახლობელ მომავალში შესდგება პარიზში.

**იტალიის კომუნისტები რუსეთის დამშეულთა შესახებ.**

იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ბომბაჩი წინადადებით გამოვიდა, რომ რუსეთის დამშეულთათვის შეიქმნეს საერთაშორისო სესხი, რომლითაც უნდა იქმნეს შესყიდული საჭირო პროდუქტები რუსეთის დამშეულთა მოსამარაგებლად.

**ბერლინის ქალაქის საბჭოში კომუნისტთა და სოციალისტთა წინადადება.**

ბერლინის ქალაქის საბჭოში სოციალისტურმა და კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა წინადადება, რომ რუსეთის დამხმარე კომიტეტს გადაეცეს ქალაქის თანხიდან 100.000 მარკა.

**პოლონეთის მთავრობის ნებართვა.**

პოლონეთის მთავრობამ ამერიკელ გუვერს მისცა ნებართვა რკინის გზების თავისუფალი მოხმარებისა, რუსეთში სურსათის შემოსატანად. გუვერი განცხადებით დახმარებია ორი კვირის შემდეგ იქნება გადმოგზავნილი, როგორც კი დამთავრდება მოლაპარაკება წითელი ჯვრისა, რომელიც ეხლა სწარმოებს რიგაში.

**ლიონი. 30 აგვ.** გერმანიაში სამხედრო წესები მოიხსნა. პრეზიდენტმა ბრძანება გამოსცა, რომ სასტიკად დაისჯება იარაღის და სამხედრო ფორმის მატარებელი, ვინც არ ითვლება სამხედრო სამსახურში.

**ვენა. აგვ. 29** უკვე 8 დღეა, რაც გრძელდება საქსოვ წარმოებათა მუშების გაფიცვა.

**ხარხა. სექ. 1.** ინდოეთში მოძრაობა ძლიერდება. დამშვიდებულ რაიონების მაგივრად მოძრაობა იწყება სხვა რაიონებში. საერთო უკმაყოფილება მატულობს ვაჭრობა-მრეწველობის კრიზისის გამო.

# მოწერილი ამბები.

**ხოფ წერაქვი.** ბორჩალოს მაზრაში ბედისგან აუჩად ალებული და კეთილმოსურნე ხალხისაგან მივიწყებული ქართველთა სოფელია; მოსახლეობს სულ 43 კომლი რომლებიც შუა-გულ ქართლიდან აქ გადმოსახლებულან, ძველი მამა-პაპათა ჩამქრალ კერაში ცეცხლი აუნთიათ, მესაქონლეობა-მეურნეობით ებრძვიან ცხოვრების სიმძიმეს და სწავლა-განათლებასაც ესწრაფიან, მაგრამ არ იქნა და მათ გაჭირვებას მალამო ვერ დაედო, პირველად იყო და ქართველ მებატონე ბარათაშვილის უღელი ედგათ კისერზე. ამ უღელს ასე თუ ისე ატარებდნენ. შემდეგ მათ ბარათაშვილის მაგიერმა ვედენევმა მოსდო კავი ამას შეენაცვლა ახალი გამომცხვარი ბატონი მანთაშევი, რომელმაც კაი ხანი აწყევლინა ბედი. დატოკა, მაგრამ მუდამ მუყაითი სოფელი მხოლოდ ბატონთა საბედნიეროდ იდგავდა და წელებზე ფეხს: სახნავ-სათეს მიწებს აფართოებდა ტყეს ასუფთავებდა, შემოსავალს კი ბატონი ისაკუთრებდა. ნივთიერად დაჩაგრული ვერც სწავლა-განათლებით მიაღწიეს და ახლო-მახლო მყოფი უცხო სოფლებიც ბატონივით დასცქეროდნენ. ძველ დროს თუ საქონელიც ბლომად ჰყავდათ მოსავალიც უხვი მოსდიოდათ, ბოლოს და ბოლოს ყოველივე ეს გაუწყდათ და სოფელი დაგლახაკდა. უკანასკნელ სამი-ოთხი წლის განმავლობაში სოფელი სამჯერ აიყარა და გაიხიზნა მეზობელ ბერძნისა და თათრის სოფლებში. ამ გახიზნვამ მთლად დაანგრია სოფელი. ამას დაემატა უკანასკნელი ორი წლის სეტყვა-ნიაღვარი გვალვა და მუწებს სხვა რისხვა. რამაც ხალხი მთლად გაადატაკა, გაანადგურა. ხალხი ისეთ დღეში ჩავარდა, რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ჩამქრალ კერის გაჩაღებას თუმცა ჯერ კიდევ ფეხზე ვერ დამდგარა; გვიან დათესილი ყანები გვალვებმა დაგვალა და ბევრმა სათესლეც ვერ აიღო. ზოგიერთებმა თუ საქონელი გაჩინეს, ერთის მხრით რომ მეზობლები აწუხებენ, მეორეს მხრით საქონლის ჭირი გაჩნდა, რამაც არა ერთი და ორი კომლი დააზარალა.

სწავლა განათლებითაც სოფელი ჩამორჩენილია: 4—5 წელიწადია, აქ წ. კ. საზოგადოების სკოლა გაიხსნა, სამი თუ ოთხი მასწავლებელი ქალიც მოვიდა ერთი მეორის შეცვლით, მაგრამ ვერ იქნა დღემდე ვერც სასკოლო შენობა აიგეს (თუმცა შესაფერი ადგილი და ქვის ნაწილი არის), ვერც სწავლა სწარმოებდა წესიერად: სასკოლო რიგიანი ოჯახი არ აღმოაჩნდათ და არც მასწავლებელს აქვს საცხოვრებელი ბინა.

სოფელი კი დიდი ყურადღების ღირსია. ჯერ ერთი—ეს სოფელი ძველისძველი ქართველთა სამშობლოა—ამას მოწმობს აქაური უძველესი ეკლესია—სასაფლაოები და მეზობელ მიდამოებში დაშთენილი კოშკ-ტაძრები და ძველი ნანგრევები. მეორე—ბუნება უხვია, ტყე-წყაროებით შემკული, მესამე—ხალხი მეტად შრომის მოყვარე, გულ-კეთილი და მუყაითია: დიდი-პატარა, ქალი-კაცი მუხლ - ჩაუკეცლად მუშაობს; მეოთხეც —ამ მიდამოებში ეს ერთი ქართველი სოფელია, ქართველობის მატარებელი.

ამითავითვე ყურადღება უნდა მიექცეს სასკოლო შენობის აგებას,—სოფელი მზადაა კომლზე თითო-ოროლა ფუთი პურით შეეწიოს, ხარ-ურმითაც დაეხმაროს, ოღონდ სახალხო განათლების უწყებამ და სამაზრო მართველობამ ცოტა შემწეობა მისცეს. მასწავლებელი ჰყავთ ეხლა სოფელში, მაგრამ როგორ ასწავლოს?

ერთი ამბავიც. ს. წერაქვი მიწერილია ს. ოფრეთის საზოგადოებაზე წერაქვს ჰყავს საკუთარი რევკომი, სამიწათ-მოქმედო კომიტეტი და სხ. ყოველგვარი ბრძანება-განკარგულება კი სოფელს მოსდის რუსულად, რომლის უცოდინარი რევკომი მუდამ იძულებულია ელოდოს, ეგება სოფელში რუსულის მცოდნემ ვინმემ შემოიაროს რომ გადაუთარგმნონ—რას ავალებენ.

რად ხდება ეს ასე?

საჭიროა ყოველივე ამას ყურადღება მიექცეს დაუყონებლივ.

ხოხე ძია.

# წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

„პრავდა გრუზიის“ უკანასკნელ ნომრებში იყო გამოცხადებული: რკინის გზის მუშების ყრილობაზე ივანე ბარამიძე ეკუთვნის ს. რ. პარტიას. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე არც ვეკუთვნი და არასოდეს ვეკუთვნოდი ს. რ. პარტიას. ვიყავი და ვარ ს. ფ. ს. პ წევრი და დღემდისად ვირიცხებოდი როგორც სოციალისტ ფედერალისტი.

ივანე ბარამიძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

მათემატიკის მასწავლებელი

**ივ. მარ. მაჩაიძე**

(ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე)

**ამზადებს** საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებში შესასვლელად და მოწმობაზე. განმეორებითი საზაფხულო გამოცდებზე მათემატიკურ საგნებში: ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში, გერმანულ და რუსულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვადა ჩაწერა 7—8 ს. 3—6. 1271